

შეთანხმება

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციასა და საქართველოს შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ

რამდენადაც, ქიმიური იარაღის განვითარების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ კონვენციის VIII მუხლის 48-ე პუნქტი ითვალისწინებს, რომ ორგანიზაციამ (შემდგომში OPCW) წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მის იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ სხვა ადგილზე უნდა ისარგებლოს ისეთი სამართლებრივი უფლებაუნარიანობითა და ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც აუცილებელია მისი ფუნქციების განხორციელებისათვის;

რამდენადაც, ქიმიური იარაღის განვითარების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ კონვენციის VIII მუხლის 49-ე პუნქტი ითვალისწინებს, რომ წევრი სახელმწიფოების დელეგატებმა, თავიანთ მონაცვლე პირებთან და მრჩევლებთან ერთად, აღმასრულებელ საბჭოში დანიშნულმა წარმომადგენლებმა, თავიანთ მონაცვლე პირებთან და მრჩევლებთან ერთად, ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა და პერსონალმა უნდა ისარგებლონ ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც აუცილებელია OPCW-სთან დაკავშირებით მათი ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელებისათვის;

რამდენადაც, ქიმიური იარაღის განვითარების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ კონვენციის VIII მუხლის 48-ე და 49-ე პუნქტების მიუხედავად, პრივილეგიებად და იმუნიტეტებად, რომლითაც გენერალური დირექტორი და სამდივნოს პერსონალი სარგებლობენ სავერიფიკაციო მოქმედებების განხორციელებისას, უნდა განისაზღვროს ისინი, რომლებიც მოცემულია სავერიფიკაციო დანართის II ნაწილის B სექციაში;

რამდენადაც, ქიმიური იარაღის განვითარების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ კონვენციის VIII მუხლის 50-ე პუნქტი განსაზღვრავს, რომ ასეთი სამართლებრივი უფლებაუნარიანობა, პრივილეგიები და იმუნიტეტები უნდა იქნას განმარტებული ორგანიზაციასა და წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებებში;

ამჟამად, მაშასადამე, ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია და საქართველო შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 განსაზღვრებები

წინამდებარე შეთანხმებაში:

- (a) „კონვენცია“ ნიშნავს ქიმიური იარაღის განვითარების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ 1993 წლის 13 იანვრის კონვენციას;
- (b) „OPCW“ ნიშნავს ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია კონვენციის VIII მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;
- (c) „გენერალური დირექტორი“ ნიშნავს კონვენციის VIII მუხლის 41-ე პუნქტში მითითებულ გენერალურ დირექტორს, ან მისი არყოფნის შემთხვევაში, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს;
- (d) „OPCW-ის თანამდებობის პირები“ ნიშნავს გენერალურ დირექტორს და OPCW-ის სამდივნოს პერსონალის ყველა წევრს;
- (e) „წევრი სახელმწიფო“ ნიშნავს წინამდებარე შეთანხმების წევრ სახელმწიფოს;
- (f) „წევრი სახელმწიფოები“ ნიშნავს კონვენციის წევრ სახელმწიფოებს;
- (g) „წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოების კონფერენციაზე და/ან აღმასრულებელ საბჭოში წარგზავნილი წევრი სახელმწიფოების

დელეგაციის აკრედიტებულ მეთაურებს ან OPCW-ის სხვა სხდომებზე წარგზავნილ დელეგატებს;

- (h) „ექსპერტები“ ნიშნავს პირებს, რომლებიც თავიანთი პირადი უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებენ OPCW-ის მიერ უფლებამოსილ მისიებს, მსახურობენ მის ორგანოებში, ან რომლებიც, ნებისმიერ შემთხვევაში, OPCW-თან გადიან კონსულტაციებს;
- (i) „OPCW-ის მიერ მოწვეული სხდომები“ ნიშნავს OPCW-ის ნებისმიერი ორგანოს ან დამხმარე ორგანოს ნებისმიერ სხდომას, ან OPCW-ის მიერ მოწვეულ ნებისმიერ საერთაშორისო კონფერენციას ან სხვა შეკრებას;
- (j) „ქონება“ ნიშნავს ყველა იმ ქონებას, აქტივებს და ფონდებს, რომლებიც ეკუთვნის OPCW-ს ან OPCW-ის მფლობელობაშია ან მის მიერ ადმინისტრირდება კონვენციით გათვალისწინებული მისი ფუნქციების ხელშეწყობის მიზნით და OPCW-ის ყველა შემოსავალს;
- (k) „OPCW-ის არქივი“ ნიშნავს იმ ყველა ჩანაწერს, მიმოწერას, დოკუმენტებს, ხელნაწერებს, კომპიუტერისა და მედიის მონაცემებს, ფოტოსურათებს, ფილმებს, ვიდეო და ხმოვან ჩანაწერებს, რომლებიც ეკუთვნის OPCW-ს ან OPCW-ის მფლობელობაშია ან ეკუთვნის OPCW-ის ნებისმიერ თანამდებობის პირს ან მის მფლობელობაშია მისი სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, და იმ ნებისმიერ სხვა მასალას, რომელზეც გენერალური დირექტორი და წევრი სახელმწიფო შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ის გახდეს OPCW-ის არქივის შემადგენელი ნაწილი;
- (l) „OPCW-ის შენობები“ ნიშნავს იმ შენობებს ან შენობების ნაწილებს და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, იმ დამხმარე მიწის ნაკვეთს, რომლებიც გამოიყენება OPCW-ის მიზნებისათვის, მათ შორის ისინიც, რომლებიც მითითებულია კონვენციის სავერიფიკაციო დანართის II ნაწილის 11(b) ქვეპუნქტში.

მუხლი 2

სამართალსუბიექტობა

OPCW სარგებლობს სრული სამართალსუბიექტობით. კერძოდ, მას გააჩნია უფლებამოსილება:

- (a) დადოს ხელშეკრულება;
- (b) შეიძინოს და განკარგოს მოძრავი და უძრავი ქონება;
- (c) ჩაატაროს და მონაწილეობა მიიღოს სამართლებრივ პროცედურებში.

მუხლი 3

OPCW-ის პრივილეგიები და იმუნიტეტები

1. OPCW და მისი ქონება, სადაც არ უნდა იყოს განლაგებული და ვის მფლობელობაშიც არ უნდა იყოს იგი, ნებისმიერ სამართლებრივ პროცედურულ ფორმასთან მიმართებაში, იმ განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, როდესაც OPCW ამაზე საკუთარი ნებით ამბობს უარს, უნდა სარგებლობდეს სრული იმუნიტეტით. ამასთან, იმუნიტეტზე უარის თქმა არ უნდა ვრცელდებოდეს აღსრულების რომელიმე ზომაზე.

2. OPCW-ის შენობა-ნაგებობები ხელშეუხებელია. OPCW-ის ქონება, სადაც არ უნდა იყოს განლაგებული და ვის მფლობელობაშიც არ უნდა იყოს იგი, დაცული უნდა იყოს ჩხრეკისგან, რეკვიზიციისგან, კონფისკაციისგან, ექსპროპრიაციისა და ჩარევის ნებისმიერი სხვა ფორმისგან, იქნება ეს აღმასრულებელი, ადმინისტრაციული, სასამართლო თუ საკანონმდებლო ქმედება.

3. OPCW-ის არქივი, სადაც არ უნდა იყოს იგი განლაგებული, ხელშეუხებელია.

4. არის რა შეუზღუდავი ნებისმიერი სახის ფინანსური კონტროლისგან, წესებისა და მორატორიუმისგან:

- (a) OPCW-ს შეუძლია ჰქონდეს ფულადი სახსრები, ოქრო ან ნებისმიერი სახის ვალუტა და განახორციელოს საბანკო ოპერაციები ნებისმიერ ვალუტაში;

- (b) OPCW-ს შეუძლია თავისუფლად გადარიცხოს მისი ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, ოქრო და სხვადასხვა ვალუტა საქართველოში ან საქართველოსგან, სხვა რომელიმე ქვეყანაში ან ქვეყნიდან ან საქართველო შიგნით და მოახდინოს მის ხელთ არსებული ვალუტის ნებისმიერ სხვა ვალუტაში კონვერტირება.

5. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისას OPCW-მ ჯეროვან ყურადღებას აქცევს საქართველოს მიერ გამოთქმულ პრეტენზიას იმდენად, რამდენადაც ასეთი პრეტენზიის გათვალისწინება ზიანს არ მიაყენებს OPCW-ის ინტერესებს.

6. OPCW და მისი ქონება გათავისუფლებულია:

- (a) ყოველგვარი პირდაპირი გადასახადისაგან. ამასთან, OPCW არ მოითხოვს, ისეთი გადასახადებისგან განთავისუფლებას, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა საფასური კომუნალურ მომსახურებაზე;
- (b) იმპორტის (საბაჟო) გადასახდელებისგან, აგრეთვე იმ საქონლის საიმპორტო და საექსპორტო აკრძალვებისა და შეზღუდვებისგან, რომელთა იმპორტსა და ექსპორტს სამსახურებრივი მიზნებისათვის ახორციელებს OPCW. ამასთან, ასეთი დაუბეგრავი წესით იმპორტირებული საქონელი არ უნდა იყიდებოდეს საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება საქართველოსთან შეთანხმებული პირობებით;
- (c) მის პუბლიკაციებზე იმპორტის (საბაჟო) გადასახდელებისგან, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვებისგან და შეზღუდვებისგან.

7. ზოგადი წესის მიხედვით, OPCW არ მოითხოვს აქციზისა და უძრავი და მოძრავი ქონების გაყიდვის გადასახადებისგან გათავისუფლებას, რომელიც შედის გადასახდელი ფასის საერთო ოდენობაში, თუმცა, როდესაც OPCW სამსახურებრივი საჭიროებისათვის ახდენს საკუთრების მნიშვნელოვან შესყიდვებს, რომელზეც მოხდა გადასახადების და მოსაკრებლის გადახდა ან ექვემდებარება დაბეგრას ასეთი გადასახადებითა და მოსაკრებლებით, საქართველო, როცა ეს შესაძლებელია, ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ღონისძიებებს აღნიშნული მოსაკრებლების და გადასახადების თანხის დაბრუნების ან თანადაფინანსების მიზნით.

მუხლი 4

კომუნიკაციებსა და პუბლიკაციებთან დაკავშირებული შესაძლებლობები და იმუნიტეტები

1. OPCW ოფიციალური საკომუნიკაციო საჭიროებებიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიაზე და, რამდენადაც ეს შეიძლება შესაბამისობაში იყოს იმ საერთაშორისო კონვენციებთან, რეგულაციებსა და წესებთან, რომელთა მონაწილეცაა საქართველო, სარგებლობს ხელშეწყობის ისეთივე რეჟიმით, როგორც საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სხვა რომელიმე მთავრობას, ამ უკანასკნელის დიპლომატიური მისიის, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში პრიორიტეტების, ტარიფებისა და გადასახადების და მედიასათვის გადასაცემ ინფორმაციასთან დაკავშირებული ტარიფების ჩათვლით.

2. OPCW-ის ოფიციალური კორესპონდენცია და მისი სხვა ოფიციალური კომუნიკაცია არ ექვემდებარება ცენზურას. OPCW-ს უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს კოდები და გაგზავნოს და მიიღოს კორესპონდენცია და სხვა ოფიციალური კომუნიკაცია კურიერისა და დალუქული პაკეტის მეშვეობით, რომლებიც უნდა სარგებლობდნენ იმავე პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, როგორც დიპლომატიური კურიერები და მათი პაკეტები. წინამდებარე პუნქტში არაფერი არ უნდა იქნას იმგვარად განმარტებული, თითქოს ხელს შეუშლის შესაბამისი უსაფრთხოების ზომების მიღებას, რომელიც განისაზღვრება საქართველოსა და OPCW-ს შორის დადებული შეთანხმებით.

3. საქართველო ცნობს OPCW-ს უფლებას კონვენციით განსაზღვრული მიზნებისთვის ჰქონდეს გამოცემისა და თავისუფლად ტრანსლაციის უფლება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

4. ყველა სახის ოფიციალური კომუნიკაცია, რომლის ადრესატიც არის OPCW და OPCW-ის ნებისმიერი გარეთ გასაგზავნი კომუნიკაცია, რომლის გაგზავნაც ნებისმიერი საშუალებითა და

ნებისმიერი ფორმით ხდება, ხელშეუხებელია. ასეთი ხელშეუხებლობა შეზღუდვის გარეშე უნდა ვრცელდებოდეს ამ ჩამონათვალის მიზნით პუბლიკაციებზე, ფოტოსურათებზე, კინოფილმებზე, ვიდეოებზე, ფილმებზე, ხმის ჩანაწერებსა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

მუხლი 5

წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები

1. OPCW-ის მიერ მოწვეულ სხდომებზე წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები, მათ შემცველებთან, მრჩეველებთან, კვალიფიციურ ექსპერტებთან და დელეგაციების მდივნებთან ერთად, იმ პრივილეგიებისა და იმუნიტეტებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომლითაც შესაძლოა ისინი სარგებლობენ მათი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას და სხდომის ადგილისაკენ და ადგილიდან მოგზაურობის დროს, უნდა სარგებლობდნენ შემდეგი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით:

- (a) იმუნიტეტი პირადი დაპატიმრებისაგან ან დაკავებისგან თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას ჩადენილი ქმედების მიმართ;
- (b) იმუნიტეტი ნებისმიერი სახის სამართლებრივი პროცედურისაგან, რომელიც დაკავშირებულია მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებთან ან დაწერილ გამონათქვამებთან და მათ მიერ ჩადენილ ნებისმიერ ქმედებასთან. ასეთი იმუნიტეტის ფლობა იმ შემთხვევაშიც გრძელდება, როდესაც აღნიშნული პირები ამ ფუნქციებს აღარ ახორციელებენ;
- (c) ყველა სახის საბუთის, დოკუმენტის და ოფიციალური მასალის ხელშეუხებლობა;
- (d) უფლება გამოიყენოს კოდები და გაგზავნოს ან მიიღოს საბუთები, კორესპონდენცია ან ოფიციალური მასალა კურიერის მეშვეობით ან დალუქული პაკეტით;
- (e) მათი და თავიანთი მეუღლეების საიმიგრაციო შეზღუდვებისგან, უცხოელთა რეგისტრაციის ან სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებებისაგან გათავისუფლება, როდესაც ისინი სტუმრობენ ან კვეთენ საქართველოს ტერიტორიას თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას;
- (f) ისეთივე ხელსაყრელი პირობები ვალუტასთან ან მის გაცვლასთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე, როგორც მინიჭებული აქვთ დროებით ოფიციალურ მისიებში მყოფ უცხოეთის მთავრობების წარმომადგენლებს;
- (g) ისეთივე იმუნიტეტები და ხელსაყრელი პირობები მათ პირად ბარგთან მიმართებაში, როგორც მინიჭებული აქვთ შესაბამისი რანგის მქონე დიპლომატიური მისიების წევრებს.

2. როდესაც ნებისმიერი სახის გადასახადის მოქმედების არეალი დამოკიდებულია საცხოვრებელ ადგილზე, ის პერიოდი, რომლის დროსაც წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში დასახელებული პირები შეიძლება იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად, არ უნდა ჩაითვალოს ცხოვრების პერიოდად.

3. წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში დასახელებულ პირებს პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ იმ მიზნით, რათა უზრუნველყონ OPCW-თან დაკავშირებული თავიანთი ფუნქციების დამოუკიდებელი განხორციელება და არა იმ მიზნით, რომ ამ პირებმა მიიღონ პირადი სარგებელი. ყველა პირი, რომელიც ასეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ვალდებულია სხვა ყველა მხრივ დაიცვას საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა.

4. წინამდებარე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება იმ პირთან მიმართებაში, რომელიც საქართველოს მოქალაქეა.

მუხლი 6

OPCW-ის თანამდებობის პირები

1. სავერიფიკაციო საქმიანობის განხორციელებისას, გენერალური დირექტორი და სამდივნოს პერსონალი, კვალიფიციური ექსპერტების ჩათვლით, ქიმიური იარაღის სავარაუდო გამოყენებასთან დაკავშირებული გამოძიების დროს, რომელიც მითითებულია კონვენციის

სავერიფიკაციო დანართის XI ნაწილის მე-7 და მე-8 პუნქტებში, კონვენციის მე-8 მუხლის 51-ე პუნქტის მიხედვით, სარგებლობენ იმ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც მოცემულია კონვენციის სავერიფიკაციო დანართის II ნაწილის B სექციაში, ან, არაინსპექტირებული წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის ტრანზიტის დროს, სარგებლობენ იმ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც მითითებულია იმავე დანართის II ნაწილის მე-12 პუნქტში.

2. სხვა საქმიანობასთან მიმართებაში, რომელიც დაკავშირებულია კონვენციის ობიექტთან და მიზანთან, OPCW-ის თანამდებობის პირებს უნდა:

- (a) ჰქონდეთ იმუნიტეტი პირად დაპატიმრებაზე ან დაკავებაზე თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას ჩადენილი ქმედების მიმართ და მათი პირადი ბარგის ჩამორთმევაზე;
- (b) ჰქონდეთ იმუნიტეტი სამართლებრივ პროცედურაზე მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებთან ან დაწერილ გამონათქვამებთან და მათ მიერ ჩადენილ ყველა ქმედებასთან დაკავშირებით;
- (c) სარგებლობენ ხელშეუხებლობით ყველა იმ საბუთზე, დოკუმენტზე და ოფიციალურ მასალაზე, რომელიც წარმოადგენს კონვენციის დებულებების საგანს;
- (d) სარგებლობენ OPCW-ის მიერ გადახდილ ხელფასებსა და ჯამაგირზე გადასახადებისგან ისეთივე გათავისუფლებით და იმავე პირობებით, რომლითაც სარგებლობენ გაეროს თანამდებობის პირები, „პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“ გაეროს 1946 წლის კონვენციის თანახმად.
- (e) თავისუფლდებიან მათ მეუღლეებთან ერთად საიმვიგრაციო შეზღუდვებისა და უცხოელთა რეგისტრაციისგან;
- (f) საერთაშორისო კრიზისების დროს ეძლევათ მათ მეუღლეებთან ერთად ისეთივე სარეპატრიაციო ხელსაყრელი პირობები, როგორც გააჩნიათ შესაბამისი რანგის მქონე დიპლომატიური მისიების თანამდებობის პირებს;
- (g) გაცვლის ხელსაყრელ პირობებთან მიმართებაში ენიჭებათ ისეთივე პრივილეგიები, როგორც ენიჭებათ შესაბამისი რანგის მქონე დიპლომატიური მისიის წევრებს.

3. OPCW-ს თანამდებობის პირები თავისუფლდებიან სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებებისაგან იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით ასეთი გათავისუფლება ეხება OPCW-ს იმ თანამდებობის პირებს, რომელთა სახელებიც მათი მოვალეობებიდან გამომდინარე OPCW-ის გენერალური დირექტორის მიერ შედგენილ ცხრილში იქნა მოთავსებული და საქართველოს მიერ დამტკიცებული. იმ შემთხვევაში, თუ OPCW-ის სხვა თანამდებობის პირები გაწვეული იქნებიან სახელმწიფო სამსახურში საქართველოს მიერ, საქართველომ, OPCW-ის მოთხოვნის საფუძველზე, გაწვევასთან დაკავშირებით ამ პირებს უნდა მიანიჭოს ისეთი დროებითი გადავადება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს მათ მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისას შეფერხების თავიდან ასაცილებლად.

4. წინამდებარე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში განსაზღვრულ პრივილეგიებზე და იმუნიტეტებზე დამატებით, OPCW-ის გენერალურ დირექტორს, მისი და მისი მეუღლის სახელით, უნდა მიენიჭოს ის პრივილეგიები და იმუნიტეტები, გადასახადებისგან გათავისუფლება და ხელსაყრელი პირობები, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ენიჭებათ დიპლომატიურ აგენტებს მათი და მათი მეუღლეების სახელით. ასეთივე პრივილეგიები და იმუნიტეტები, გადასახადებისგან გათავისუფლება და ხელსაყრელი პირობები აგრეთვე უნდა მიენიჭოს OPCW-ის მაღალი თანამდებობის პირს, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის სახელით.

5. პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ OPCW-ის თანამდებობის პირებს OPCW-ს ინტერესებიდან გამომდინარე და არა ამ პირების პირადი სარგებლიდან გამომდინარე. ყველა ის პირი, რომელიც ასეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ვალდებულია სხვა ყველა მხრივ დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა. OPCW-ს უნდა ჰქონდეს უფლება და მოვალეობა უარი უთხრას OPCW-ის ნებისმიერ თანამდებობის პირს იმუნიტეტზე იმ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც, მისი აზრით, ეს იმუნიტეტი ხელს შეუშლის მართლმსაჯულების პროცესს და რომელზეც, შეიძლება უარი ითქვას OPCW-ს ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად.

6. OPCW-მ ნებისმიერ დროს უნდა ითანამშრომლოს საქართველოს შესაბამის ორგანოებთან მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნდა უზრუნველყოს პოლიციის რეგულაციების დაცვა და თავიდან აიცილოს წინამდებარე მუხლში ნახსენები პრივილეგიების, იმუნიტეტებისა და ხელსაყრელი პირობების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი ფაქტი.

მუხლი 7 ექსპერტები

1. ექსპერტებს ენიჭებათ შემდეგი პრივილეგიები და იმუნიტეტები იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მათი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის, ამ ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით მგზავრობისას გატარებული დროის ჩათვლით.

- (a) იმუნიტეტი პირად დაპატიმრებაზე ან დაკავებაზე და მათი პირადი ბარგის ჩამორთმევაზე;
- (b) იმუნიტეტი ყველა სახის სამართლებრივ პროცედურაზე მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებთან ან დაწერილ გამონათქვამებთან ან მათ მიერ ჩადენილ ქმედებებთან დაკავშირებით. ასეთი იმუნიტეტი ვრცელდება მაშინაც, როდესაც ეს პირები აღარ აგრძელებენ OPCW-თვის სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებას;
- (c) ყველა საბუთის, დოკუმენტის და ოფიციალური მასალის ხელშეუხებლობა;
- (d) OPCW-ის საკომუნიკაციო მიზნებიდან გამომდინარე, უფლება გამოიყენონ კოდები და მიიღონ საბუთები ან კორესპონდენცია კურიერის ან დალუქული პაკეტების მეშვეობით;
- (e) ისეთივე ხელსაყრელი პირობები ვალუტასთან ან მის გაცვლასთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე, როგორც მინიჭებული აქვთ დროებით ოფიციალურ მისიებში მყოფ უცხოეთის მთავრობების წარმომადგენლებს;
- (f) ისეთივე იმუნიტეტები და ხელსაყრელი პირობები მათ პირად ბარგთან მიმართებაში, როგორც მინიჭებული აქვთ შესაბამისი რანგის მქონე დიპლომატიური მისიების წევრებს.

2. პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ OPCW-ს ექსპერტებს OPCW-ის ინტერესებიდან გამომდინარე და არა ამ პირების პირადი სარგებლიდან გამომდინარე. ყველა ის პირი, რომელიც ამგვარი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ვალდებულია სხვა ყველა მხრივ დაიცვას საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. OPCW-ს უნდა ჰქონდეს უფლება და მოვალეობა უარი უთხრას OPCW-ის ნებისმიერ ექსპერტს იმუნიტეტზე იმ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც, მისი აზრით, ეს იმუნიტეტი ხელს შეუშლის მართლმსაჯულების პროცესს და რომელზეც, შეიძლება უარი ითქვას OPCW-ს ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად.

მუხლი 8 პრივილეგიის ბოროტად გამოყენება

1. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა წინამდებარე შეთანხმებით მინიჭებული პრივილეგიის ან იმუნიტეტის ბოროტად გამოყენებას, საქართველოსა და OPCW-ს შორის უნდა გაიმართოს კონსულტაციები, რათა დადგინდეს, მოხდა თუ არა ნებისმიერი ასეთი ბოროტად გამოყენების ფაქტი და, თუ მოხდა, ადგილი ჰქონდეს მცდელობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ასეთი ფაქტი აღარ გამეორდეს. თუ ასეთი კონსულტაციებით ვერ მიიღწევა დამაკმაყოფილებელი შედეგი საქართველოსთვის და OPCW-თვის, საკითხი იმის თაობაზე, მოხდა თუ არა პრივილეგიის ან იმუნიტეტის ბოროტად გამოყენება, უნდა გადაწყდეს მე-10 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

2. მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულ პირებს ტერიტორიული ორგანოების მიერ არ უნდა მოეთხოვოთ საქართველოს ტერიტორიის დატოვება მათ იმ ნებისმიერ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი ახორციელებენ

სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება პრივილეგიის ბოროტად გამოყენება ნებისმიერი ასეთი პირის მიერ განხორციელებული იმ ქმედების დროს, რომელიც სცილდება მის სამსახურებრივ ფუნქციებს, აღნიშნულ პირს საქართველოს მთავრობის მიერ შეიძლება მოეთხოვოს ტერიტორიის დატოვება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანხმობით ტერიტორიული ორგანოების მიერ ქვეყნის დატოვების შესახებ მიღებული ბრძანების საფუძველზე. ასეთი თანხმობა უნდა გაიცეს მხოლოდ OPCW-ის გენერალურ დირექტორთან კონსულტაციით. თუ პირის წინააღმდეგ დაწყებულია სამართალწარმოება მისი გაძევების შესახებ, OPCW-ის გენერალურ დირექტორს უნდა ჰქონდეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ასეთ სამართალწარმოებაში იმ პირის სახელით, რომლის მიმართაც ის ხორციელდება.

მუხლი 9

სამგზავრო დოკუმენტები და ვიზები

1. საქართველომ უნდა ცნოს და მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლესე-პასე (გაეროს პასპორტი) როგორც ნამდვილი სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც გაცემულია OPCW-ის თანამდებობის პირებზე OPCW-ის სპეციალური შეთანხმებების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია გაეროსთან „გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და OPCW-ის შორის ურთიერთობების შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად, კონვენციასთან დაკავშირებით მათი ამოცანების განხორციელების მიზნით. გენერალურმა დირექტორმა უნდა შეატყობინოს საქართველოს OPCW-ის შესაბამისი შეთანხმებების შესახებ.

2. საქართველომ უნდა გაატაროს ყველა აუცილებელი ზომა, რათა ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნული მე-5, მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით განსაზღვრული პირების, მათი მოქალაქეობის მიუხედავად, მის ტერიტორიაზე შესვლასა და ცხოვრებას და არ უნდა შექმნას არანაირი დაბრკოლება მისი ტერიტორიიდან მათ გამგზავრებასთან დაკავშირებით, უნდა უზრუნველყოს, რომ არანაირი დაბრკოლება არ შეექმნას მათ ტრანზიტს მათი სამსახურებრივი მოვალეობის ან საქმიანობის ადგილამდე ან ადგილიდან და უნდა უზრუნველყოს ისინი ნებისმიერი აუცილებელი დაცვით ტრანზიტის დროს.

3. მე-5, მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით განსაზღვრული პირების აპლიკაციები ვიზებზე და, საჭიროების შემთხვევაში, ტრანზიტულ ვიზებზე, როდესაც მათ თან ერთვის სერთიფიკატი იმის შესახებ, რომ ეს პირები მგზავრობენ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, უნდა იქნას დამუშავებული შეძლებისდაგვარად შემჭიდროვებულ ვადაში, რათა აღნიშნულ პირებს მიეცეთ შესაძლებლობა ეფექტურად განახორციელონ თავიანთი ფუნქციები. ამასთანავე, ასეთ პირებს უნდა შეექმნას ხელსაყრელი პირობები დროული მგზავრობისათვის.

4. გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილეს/მოადგილეებს და OPCW-ის სხვა თანამდებობის პირებს, როდესაც ისინი მგზავრობენ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, უნდა შეექმნათ ისეთივე ხელსაყრელი პირობები მგზავრობისათვის, როგორც გათვალისწინებულია დიპლომატიური მისიების შესაბამისი რანგის მქონე წევრებისათვის.

5. ვიზები სავერიფიკაციო საქმიანობის განხორციელებისათვის უნდა გაიცეს კონვენციის სავერიფიკაციო დანართის II ნაწილის B სექციის მე-10 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 10

დავების მოგვარება

1. OPCW-მ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა გადაწყვიტოს:

- (a) დავები, რომლებიც წარმოიშობა კონტრაქტების საფუძველზე, ან კერძოსამართლებრივი ხასიათის მქონე სხვა დავები, რომელშიც მონაწილეობს OPCW;
- (b) დავები, რომლებშიც ჩართულია OPCW-ის ნებისმიერი თანამდებობის პირი ან ექსპერტი, რომელიც თავისი ოფიციალური თანამდებობის გამო სარგებლობს იმუნიტეტით, თუ ამ

იმუნიტეტზე მას არ ეთქვა უარი წინამდებარე შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის ან მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, რომელიც არ გადაწყდა მეგობრულად, საბოლოო გადაწყვეტილებისათვის გადაეცემა სამი არბიტრისაგან შემდგარ ტრიბუნალს დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თითოეულმა მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს. მესამე არბიტრი, რომელიც ტრიბუნალის თავმჯდომარე უნდა იყოს, უნდა შეირჩეს პირველი ორი არბიტრის მიერ.

3. იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარე ვერ დანიშნავს არბიტრს და არ გადადგამს ნაბიჯებს ამ მიმართულებით მეორე მხარისაგან ასეთი დანიშვნის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში, მეორე მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს, რომ მან განახორციელოს აღნიშნული დანიშვნა.

4. თუ პირველი ორი არბიტრი ვერ შეთანხმდება მესამეზე მათი დანიშნიდან ორი თვის განმავლობაში, ერთ-ერთ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს, რომ მან განახორციელოს აღნიშნული დანიშვნა.

5. ტრიბუნალი თავის საქმიანობას განახორციელებს "საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების არბიტრაჟის შესახებ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს ფაკულტატური წესების" შესაბამისად, როგორც ის ძალაშია წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის დღეს.

6. ტრიბუნალი გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ასეთი გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა დავის მონაწილე მხარეებისათვის.

მუხლი 11 განმარტება

1. წინამდებარე შეთანხმების დებულებები უნდა იქნას განმარტებული OPCW-თვის კონვენციით მინიჭებული ფუნქციებიდან გამომდინარე.

2. წინამდებარე შეთანხმების დებულებებმა არცერთ შემთხვევაში არ უნდა შეზღუდოს ან ზიანი მიაყენოს იმ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რომლებიც მინიჭებულია ინსპექტირების ჯგუფის წევრებისათვის კონვენციის სავერიფიკაციო დანართის II ნაწილის B სექციით ან იმ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რომლებიც მინიჭებულია გენერალური დირექტორისათვის და OPCW-ის სამდივნოს პერსონალისათვის კონვენციის VIII მუხლის 51-ე პუნქტით. წინამდებარე შეთანხმების დებულებებმა არ უნდა იმოქმედონ იმგვარად, რომ გააუქმონ კონვენციის ნებისმიერი დებულება ან ნებისმიერი უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც OPCW-ს შეიძლება სხვაგვარად გააჩნდეს, ჰქონდეს მოპოვებული ან აღებული, ან გადაუხვიონ მათგან.

მუხლი 12 დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის საქართველოს მიერ სარატიფიკაციო სიგელის გენერალური დირექტორისათვის დეპონირების თარიღიდან. აღნიშნული ისე უნდა იქნას გაგებული, რომ, როდესაც სარატიფიკაციო სიგელი დეპონირდება საქართველოს მიერ, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, იგი იქნება იმ მდგომარეობაში, რომ აამოქმედოს წინამდებარე შეთანხმების პირობები.

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში იმ დრომდე, სანამ საქართველო რჩება კონვენციის წევრ სახელმწიფოდ.

3. OPCW-ს და საქართველოს შეუძლიათ დადონ ისეთი დამატებითი შეთანხმებები, რომლებიც აუცილებელი შეიძლება იყოს.

4. წინამდებარე შეთანხმებაში მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომელიც გაფორმდება ცალკე დოკუმენტის სახით და ძალაში შევა მხარეთა მიერ შეთანხმებულ დღეს, როგორც ეს გათვალისწინებულია ამგვარ დოკუმენტში. აღნიშნული სახით მიღებული დოკუმენტი წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

შესრულებულია ქ. ჰააგაში _____, ერთ დედნად, ინგლისურ ენაზე. თითოეული ტექსტი თანაბრად აუთენტიურია.

საქართველოს სახელით

ქიმიური იარაღის აკრძალვის
ორგანიზაციის სახელით

თამარ ზერუჩაშვილი, საქართველოს საგარეო
საქმეთა მინისტრი

აჰმედ უზუმჯუ, გენერალური დირექტორი

ადგილი, თარიღი

ადგილი, თარიღი

საგარეო ურთიერთობების სამინისტრო
საგარეო ურთიერთობების განყოფილება
საერთაშორისო ხელშეკრულებათა
სარეგისტრაციო განყოფილება

სარეგისტრაციო/REGISTRATION № 33405-01

თარიღი/DATE 13.07.2015

დაამტკიცა/CERTIFIED BY _____
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia